



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030435003969817

04-472/ო

04 / ივლისი / 2017 წ.


„ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის სტაციონარული დეტოქსიკაციისა და პირველადი რეაბილიტაციის კომპონენტის ფარგლებში მოსარგებლის რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ” სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 24 იანვრის N04-37/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილების „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის (დანართი N10) მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული კომპონენტის („სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია ოპიოიდების, სტიმულატორების და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროს“) მოსარგებლეთა რეგისტრაციის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, პროგრამის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 63-ე მუხლებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის სტაციონარული დეტოქსიკაციისა და პირველადი რეაბილიტაციის კომპონენტის ფარგლებში მოსარგებლის რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ” სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 24 იანვრის N04-37/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული სტაციონარული დეტოქსიკაციისა და პირველადი რეაბილიტაციის კომპონენტის ფარგლებში, მომსახურების მიღების მსურველი პირის განცხადების ფორმა (დანართი N4) ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების დანართით წარმოდგენილი სახით (დანართი N4).
2. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის დასახელება

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პაციენტის სახელი, გვარი _____

პირადი ნომერი _____ დაბადების დღე, თვე, წელი _____

დაინტერესებული პირის სახელი, გვარი _____ პირადი ნომერი _____

პაციენტის ან დაინტერესებული პირის ფაქტობრივი მისამართი: _____

საკონტაქტო ნომრები _____

გთხოვთ, მიუთითოთ შემდეგი ინფორმაცია:

- არ მისარგებლია „სტაციონარული დეტოქსიკაციისა და პირველადი რეაბილიტაციის კომპონენტის“ ფარგლებში;
- რეგისტრირებული ვარ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ჩემი ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს.

გთხოვთ, ჩამართოთ „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის „სტაციონარული დეტოქსიკაციისა და პირველადი რეაბილიტაციის კომპონენტი“. დანართის სახით წარმოგიდგენთ:

მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემულ ფორმას NIV-100/ა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს (დაინტერესებული პირის შემთხვევაში, დამატებით, მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი) და ამონაწერს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მსურს მკურნალობა ჩავიტარო:

მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება (მისამართი)	✓ მონიშვნა
1. შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (ქ. თბილისი, ქავთარაძის N21 ა)	
2. შპს სამედიცინო ცენტრი „ურანტი“ (ქ. თბილისი, ნუცუბიძის 5 მ/რ, კორპ.2ა)	
3. შპს „ჯ.ჭანტურიას სახელობის სამედიცინო ცენტრი“ (ქ. თბილისი, ერისთავის N3)	
4. შპს „ნეოგენი“ (ქ. თბილისი, ა. გობრონიძის ქ. N27)	
5. შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (ხონი, სოფ. ქუტირი)	

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ვიცნობ პროგრამით სარგებლობის პირობებს, მათ შორის:

* მომსახურების მიწოდება განხორციელდება მონიშნულ მიმწოდებლებს შორის, მხოლოდ ერთ-ერთში, თავისუფალი ტექნიკური რესურსის გათვალისწინებით;

* მომლოდინეთა რიგში ბენეფიციარის შემდეგ მყოფი პირის მოთხოვნა შესაძლებელია დაკმაყოფილდეს უფრო ადრე იმ მიმწოდებელთან, რომელიც არ არის მონიშნული განმცხადებლის მიერ ან პირისათვის სამედიცინო მომსახურების გადაუდებლობის შემთხვევაში;

* თანხმობის წერილის საფუძველზე, მკურნალობის დაწყება უნდა განხორციელდეს თანხმობის წერილის გაცემიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომლოდინე კარგავს მოპოვებულ რიგს, ხოლო თანხმობის წერილი ჩაითვლება ძალადაკარგულად და განმარტოვებულს ეხსენება მომლოდინისა და მიმწოდებლის წინაშე მომსახურების ანაზღაურების პასუხისმგებლობა.

განმცხადებლის ხელმოწერა _____

თარიღი _____